ეროვნული ბიბლიოთეკა


# თავისუფალი საქართველო

**მრგვალი მაგიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი**

**30 VIII 1991** ფასი 50 კაპ. **№ 32 (37)**


„არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს — ვინ არის, საიდამ მოდის და საით მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, — რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის-ფიცარზედ იბეჭდავს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაბეჭდვითა, როგორც სარკე გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის.

უკეთესნი და უდიდესნი მოქმედნი ერისა სომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქოს შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მოქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწისზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი — საკუთარი ვინაობის დავიწყებაა და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც რაკი დედის ძუძუს მოშორდება, აღარ ახსოვს თავის მშობელი და სიცოცხლის მომნიჭებელი. გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მოქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ-წინა. ისინი ცხოველი მაგალითებია მისი თუ — რა სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს. რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია ამისთანა მოქმედი, რამოდენადაც ეს დიდბუნებოვანობა ხშირია რომლისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლებლობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ.

გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მოქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა მნიშვნელობაცა აქვთ ერისათვის. ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ-ბუნებოვანობის შარავანდედითა, და თაყვანსახცემს სახოებით და მადლობითა. ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა. ...ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო“.

ამისთანა ბედნიერი ილია ჭავჭავაძეა საქართველოს ერისათვის.





# მარიამობა

**ზაფხულის** დღეობათა ციკლის უდიდესი დღესასწაული მიძინება ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა (მარიამობა-მარიობა) მოდის 28 (15) აგვისტოს, ამ დღესასწაულით ხსნილდება მარიამობის ორკვირიანი მარხვა, რომელიც 14(1) აგვისტოს იწყება. ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოსათვის ეს საყოველთაო დიდი დღესასწაულია. ამ დღეს ეკლესიებში სპეციალური წირვა-ლოცვები ტარდება, იკურთხება ახლადშემოსული ხილი, მიცვალებულებს საკურთხს უდგამენ, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (ხევი, გუდამაყარი) წინათ იმართებოდა დოლი, ლხინში სრულდებოდა ფერხისები... იკვლებოდა საკლავი. დასავლეთ საქართველოში მარიამობისთვის შეწირულ საკლავს ე. წ. „სამარიო ხარები“ წარმოადგენდნენ. მაგალითად ლეჩხუმის სოფელ ლესინდში ორ ოჯახზე ერთი სამარიო ხარი იკვლებოდა. მას სხვა საკლავსაც უმატებდნენ. მოსდიოდათ სტუმრები. ორი სამი დღის განმავლობაში სუფრა აულაგებლად გაშლილი უნდა ყოფილიყო.

დასავლეთ საქართველოში მარიამობაზე მიცვალებულისათვის აუცილებლად კენტად ცხვებოდა ნიგვზიანი, ლობიანი ან ყველიანი ტაბლა (რიტუალური ოთხკიდიანი პური), საკურთხზე იდგმებოდა ახლადშემოსული ყველანაირი ხილი, ბალჩეული... სიმინდის ტარო, ყურძენი, ახალი ვაშლი, მსხალი, თხილი, ღვინო, წყალი და ა. შ. ახლადშემოსული ხილიდან მხოლოდ ლეღვი არ იდგმებოდა საკურთხზე (გავიხსენოთ მაცხოვრის მიერ უნაყოფო ლეღვის დაწყევლა. საზოგადოების ეს ეზოტერული იდეა უნაყოფო ლეღვის ხის შესახებ, რომელიც ასახსნელად ერთ-ერთ თავსატეხ სიმბოლოს წარმოადგენს, ხალხს პირდაპირ მიუღია, რაც გამოხატა საკურთხზე ლეღვის დადების აკრძალვის წესში).

დიასახლისი ანთებდა სანთლებს და დაილოცებოდა: „მარიამობის გამჩენო ძალო, ნათელში მომყოფე ჩემი მიცვალებულების სული და მათ დანატოვარს მშვიდობა მიეცი“.

მარიამობის დღესასწაულის დადგომამდე საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გათხოვილი ქალები (გავიხსენოთ, რომ მარიამ ღვთისმშობელი ქალების, შვილიერების და ნაყოფიერების მფარველია) განსაკუთრებულ აკრძალვებს იცავდნენ საკვებზე. მაგალითად სვანეთში და სამეგრელოში — თხილს არ ჰამდნენ მარიამობამდე. ეს წესი მუცლის ტიფის თავიდან ასაცილებლად და საერთოდ შვილებისთვის არის შეწირულიო. ასევე არ ჰამდნენ ყურძენს. დღესასწაულის დადგომისთანავე მგლოვიარე ქალი (ამ წესს განსაკუთრებით შვილდაკარგული ქალები ასრულებდნენ) თხილის გულს ხაჭაპურში ჩაფხვკდა, დაილოცებოდა და შესჭამდა. ამით ტაბუ ხილზე იხსნებოდა.

მარიამობის დღესასწაულის ერთ-ერთ მთავარ მომენტს ეკლესიაში ხილის კურთხევა წარმოადგენს. ქრისტიანულ კულტმსახურებაში შესული ეს ხალხური წეს-ჩვეულება გამიზნული იყო ხეხილისა და საერთოდ ყოველგვარი მცენარეულობის დასაცავად რაიმე საფრთხისაგან.

ამგვარად მარიამობა ხალხური პერცეფციით სიმწიფესა და გაცხადებული ნაყოფიერების, შვილიერებისა და მოსავლის აღების დიდი დღესასწაულია.

**ნინო აბაკელია**

თავისუფალი საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკა

# ვაპოვნინოთ ქართულ მიწას ნამდვილი პატრონი

**ალბათ**, მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ არ არსებობს უგლეხოდ მიწა და გლეხი უმიწოდ, ხოლო ორივეს გარეშე არ შეიძლება არსებობდეს სოფლის მეურნეობა. ტრადიციული გაგებით, როგორც ეს მთელ კაცობრიობას ესმის, დღეს საქართველოში არც გლეხი არსებობს და შესაბამისად არც სოფლის მეურნეობა. დღეს ყველასათვის ნათელია, რომ მეურნეობრიობის იმ მახინჯ სისტემას, რომელიც სოციალიზმმა შექმნა, არ ძალუძს არამცთუ ქვეყნის გამოკვება, არამედ არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმის შექმნაც კი. ისეთი ქვეყნის ეკონომიკაში, როგორიც საქართველოა, სოფლის მეურნეობას უდიდესი ადგილი ეჭირა და ალბათ ასე იქნება მომავალშიც. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ჩვენი ავადმყოფი და დეფორმირებული ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის სწორედ ამ სფეროში უნდა გადაიდგას, უპირველეს ყოვლისა, მტკიცე და კარგად მოფიქრებულ-გააზრებული ნაბიჯები. საკითხი უაღრესად რთულია და საპასუხისმგებლო, რამდენადაც ექსპერიმენტის შესაძლებლობა პრაქტიკულად გამორიცხულია. ამ საკითხში გაკეთებული ერთი მცდარი დასკვნაც კი შეიძლება საბედისწერო გამოდგეს, მაგრამ მეორეს მხრივ სწორი გზის პოვნა და შესაბამისი კანონმდებლობის ჩამოყალიბება გადაგვაწყვეტინებს დიდ ნაწილს იმ პრობლემებისა, რომლებიც ქვეყნის საშინაო პოლიტიკას აქვს და დღეს არსებულ პირობებში მათი გადაჭრის რეალური პერსპექტივა თითქოს არ ჩანს.

აგრარული რეფორმის გატარება წარმოუდგენელია ერთი რომელიმე უნივერსალური კანონით განხორციელდეს. ჩვენის აზრით, ეს არის საკმაოდ ხანგრძლივი, წინააღმდეგობებით აღსავსე და მტკივნეული პროცესი, რომელიც უნდა დაიწყოს, იქნებ სარისკოც, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯებით და დამთავრდეს იმით, რომ ქართულმა მიწამ ბოლოსდაბოლოს იპოვოს თავისი ნამდვილი პატრონი — ქართველი გლეხი. ის ნამდვილი მეურნე, რომელსაც ეცოდინება ამ მიწის ყადრი და ფასი, ვინც შეძლებს ამ მიწაზე შექმნას ქვეყნისათვის აუცილებელი პური არსობისა.

კატასტროფის პირას მისული დღევანდელი სოფლის მეურნეობის ფეხზე დასაყენებლად, ალბათ, საკმაოდ რთული ეტაპების გავლა მოგვიწევს. მეურნეობრიობის არსებული სისტემა უნდა დაიშალოს და რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, მით უკეთესი. რაც უფრო ადრე შევუდგებით მის დემონტაჟს, მით უფრო მივუახლოვდებით საბოლოო მიზანს.

როცა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობას გაეცნობა კაცი, მაშინვე გაუჩნდება აზრი, რომ მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრება საკმარისი იქნება პრობლემის გადაწყვეტისათვის, მაგრამ რამდენადაა ეს დღეს შესაძლებელი? ამის გააზრება მრავალი მიზეზის გამო ძნელია. კერძო საკუთრება რომ აუცილებელი პირობაა მაღალნაყოფიერი მეურნეობისათვის, ამაში ეჭვი არავის ეპარება. მისი ერთბაშად დაკანონება, მით უმეტეს მიწაზე, გარდა იმისა, რომ ეკონომიკურად არაეფექტური და საზიანო იქნება, პოლიტიკურადაც საშიშია და გამოუსწორებელი შედეგებიც შეიძლება მოჰყვეს. უცილობელი იქნება რაღაც ეტაპის გავლა, რომელიც ხელსაყრელ პირობებს შექმნის მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებისათვის. მეურნეობრიობის არსებული სისტემიდან ტრადიციულზე გადასვლა უნდა მოხდეს არა რევოლუციურად და ფორსირებულად, არამედ რაც შეიძლება ბუნებრივად, ხელისუფლების მიერ ნაკარნახევი ყოველგვარი რეცეპტების გარეშე. შეძლებისდაგვარად სახელმწიფომ ხელი უნდა აიღოს მეურნეობრიობის მართვასა და კონტროლზე და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ბუნებრივი პროცესების განვითარებას, ფხიზლად ადევნოს თვალ-ყური მოვლენათა მიმდინარეობას და მხოლოდ იმდენად ჩაერიოს ამ პროცესებში, რამდენადაც აუცილებელი იქნება მოსალოდნელი სტიქიურობის თავიდან აცილება, რისგანაც ჩვენი დეფორმირებული საზოგადოება დაზღვეული არ არის.

უპირველესი ნაბიჯი ტრადიციული მეურნეობრიობის სისტემის აღდგენისათვის, ვფიქრობთ, ქართული სოფლის აღდგენაა. თუ როგორია ქართული ტრადიციული სოფელი, ზოგადად ამისი თქმა ალბათ შეუძლებელია, რადგან საქართველოში ორი მეზობელი სოფელიც კი ერთმანეთს არა ჰგავს, მით უმეტეს, საქართველოს სხვადასხვა კუთხის სოფლები. ამიტომ რაიმე საერთო პრინციპის საფუძველზე ამ მიზნის განხორციელება ვერ მოხერხდება, ყოველმა სოფელმა თავისი ტრადიციები თავად უნდა აღადგინოს, რაშიც ეროვნული მთავრობის სწორ პოლიტიკას გადამწყვეტი როლი ენიჭება. ამ პოლიტიკის შემუშავება მხოლოდ საკუთარი თავის იმედად, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით მოგვიხდება, რადგან მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც ისეთი ისტორიული გზა ჰქონდეს გავლილი, როგორიც საქართველოს და მსგავსი ეროვნული ტრადიციები

განაჩენი ოფიციალურად გამოუტანა სახელმწიფომ და ცეცხლითა და მახვილით დაიწყო მისი სისრულეში მოყვანა, მან დაკარგა თავისი ფუნქცია მეურნეობრიობის ტრადიციულ სისტემაში, რის შედეგადაც თვით სისტემა იქნა ლიკვიდირებული და ძალმომრეობით შეიქმნა გამოგონილი, განსაკუთრებით ქართველი კაცის ბუნებისათვის უცხო და მიუღებელი მეურნეობრიობის სოციალისტური სისტემა. სოფელი, ტრადიციული გაგებით, მხოლოდ ხელს უშლიდა და დაბრკოლებას უქმნიდა ამგვარ სისტემას უმთავრესი მიზნის განხორციელებაში — ერის გადაგვარებასა და მის გათქვეფაში ერთგვაროვან საბჭოთა მასად. მისთვის აუცილებელი იყო ეს სოფლები გადაქცეულიყვნენ ყაზარმებად, სადაც თავს შეაფარებდნენ დაბეჩავებული, სახელმწიფოს მოწყალებას შეჩერებული, პრაქტიკულად მუქთი მუშახელი, რომელსაც საჭიროებისამებრ ცხვრებივით გაირ-

დამპურებელი გლეხი კი კოლმეურნეობის ნასუფრალის მოიმედე მათხოვრად, ანდა ქალაქიდან ქალაქში იოლი საშოვრის საძებნელად ახეტებულ მაწანწალად ჩამოყალიბდა და ჭირივით შეიძულა მიწა.

სამოცდაათი წლის მანძილზე დაგროვილი პრობლემების გადაჭრის გზაზე, უნდა სასწრაფოდ გადაიდგას პირველი ნაბიჯი, რომლითაც საფუძველი ჩაეყრება საზოგადოების ბუნებრივად, ყოველგვარი კარნახის გარეშე განვითარების პროცესს.

მეურნეობრიობის არსებული სისტემის უვარგისობის თავი და ბოლო იმაში მდგომარეობს, რომ იგი იმართება სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფომ მიიტაცა სოფლად წარმოების ძირითადი საშუალება — მიწა და მეურნე იძულებული გახდა მთლიანად დამოკიდებული ყოფილიყო მასზე. ეს ავი მემამულე არც ამას დასჯერდა, მთლიანად მიითვისა ამ მიწაზე მოწეული ჭირ-

და თავისებურებანი ახასიათებდეს. ამდენად, ამ ქვეყნების გამოცდილება ჩვენთვის, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება სრულიად უსარგებლო გამოდგეს.

ყოველი ქართული სოფელი ხანგრძლივი დროის, უმეტესწილად მრავალი საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბებული სრულყოფილი ორგანიზმია, რომლის სიცოცხლისუნარიანობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად იქნება მისი მთლიანობა შენარჩუნებული. იგი განუყოფელი უჯრედია ერისა, შეიძლება ითქვას ქართული ოჯახია გადიდებული, ანდა საქართველოს რომელიმე კუთხეა შემცირებულ მასშტაბებში. ყოველი მათგანი მთელი ქართველი ერის ერთ-ერთი მტკიცე საყრდენია, როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის თვალსაზრისით. შემთხვევითი არაა ის გარემოებაც, რომ ქართულ ენაში ადრე ტერმინი „სოფელი“ მთელი ქვეყნის აღმნიშვნელი სიტყვა იყო და იგი დღესაც იხმარება ამავე მნიშვნელობით, იქვე არ შეიძლება კაცს არ გაახსენდეს სიტყვები „წუთისოფელი“, „მსოფლიო“, რომლებსაც სწორედ სიტყვა „სოფელი“ უდევს საფუძვლად. ყოველი მთავრობა, მოყვრისა თუ მტრისა, კომუნისტურის ჩათვლით, კარგად უწყოდა ქართული სოფლის მნიშვნელობა ერის სიმტკიცისა და განვითარებისათვის. ამიტომაც იყო, რომ ერთნი თავგამოდებით ცდილობდნენ მის ხელუხლებლად შენარჩუნებას, ხოლო მეორენი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ მისი დანგრევისა და გადაგვარებისათვის.

სამოცდაათწლიანი კომუნისტური ნგრევის ყველაზე უარესი, თავისი დამღუპველი შედეგებით უბოროტესი მოვლენა — ქართული სოფლის შეგნებული და დაგეგმილი მოსპობა გახლდათ. საქართველოში სოფელი არ არსებობს. არსებობს სახელწოდება „სოფელი“, რომლის შინაარსშიც იგულისხმება ყოველგვარ უფლებებს მოკლებული, საარსებო გარემოშემოძარცვული მახინჯი დასახლებანი, რომელთა ერთადერთი ფუნქცია არანაკლებ დამახინჯებული ქალაქების გამოკვება გახლავთ თუნდაც სიცოცხლის ფასად. პირველი სასიკვდილო დარტყმა სოფელს მაშინ მიაყენეს, როცა კომუნისტურმა იდეოლოგიამ ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების მოსპობის აბსურდული და დანაშაულებრივი იდეა გამოაცხადა. აქედან მოყოლებული სოფლის ნგრევა არნახული მასშტაბებით და ტემპებით დღემდე გრძელდება და ეროვნულ მთავრობას საკმაო ძალისხმევა დასჭირდება მის შესაჩერებლად. რაკი სოფელს სასიკვდილო

ეკავდა წინ „მზრუნველი სახელმწიფო“. შესაფერისი ფორმაც იქნა გამოძებნილი სასოფლო საბჭოების სახით, რაც მორიგი ლახვარი იყო სოფლისათვის ზურგში ჩაცემული, რამდენადაც საბჭოების შექმნამ მოსპო ყველაზე მთავარი — სოფლის თვითმმართველობა და ერთმანეთთან დააპირისპირა მასში გაერთიანებული მეზობელი სოფლები. გაკეთდა ის, რისი გაკეთებაც ვერ შეძლეს უნიჭიერესმა ბოროტმოქმედებმა საუკუნეთა მანძილზე, რომლებმაც საფლავებში ჩაიტანეს მათი ხელით გადამწვარი და ნანგრევებად ქცეული ქართული სოფლების — ცოდვის სიმძიმე. რაც ცეცხლმა და მახვილმა ვერ შეძლო, მარქსისტულმა დემაგოგიამ ბოლშევიკების ველურ სისასტიკესთან შეზავებულმა უფრო ადვილად მოახერხა. დაიწყო ქართული სოფლების უმაგალითო ნგრევა და დასახიჩრება. ათობით სოფლის ყოვლად უაზროდ, ულოგიკოდ, მხოლოდ ვიღაცის ბოროტი ახირების საფუძველზე საბჭოებად გაერთიანება, მერე კი საბჭოდან საბჭოში დაუსრულებელი გადანაცვლება. მთელი სოფლების ან გამიზნულად შერჩეული მათი ნაწილის ძალმომრეობით აყრა და გადასახლება, განსაკუთრებით მთის სოფლებისა, რასაც შემდგომში მთელი რეგიონების გაუკაცრიელება და შესაბამისად ტრადიციული დარგების სრული კატასტროფა მოჰყვა. წლების მანძილზე გრძელდებოდა ყალბი პროპაგანდა, რომელიც იდილიურ ცხოვრებას ჰპირდებოდა ყველას, ვინც მამაპაპისეულ კერას წყალს დაასხამდა და საუკუნოვან ტრადიციებს ზურგს შეაქცევდა. ყოველგვარი მეთოდი და საბაბი გამოდგებოდა სოფლის დასანგრევად, ოღონდ სურვილი ყოფილიყო ამისი. კაშხალის მშენებლობა თუ წიაღისეულის მოპოვებისათვის კარიერის გათხრა, კოლექტიური მებაღეობა თუ ყოვლად უსარგებლო საწარმო თავისი დამხმარე მეურნეობით.

ლობეშემორღვეული სოფელი გადასავლელ ეზოდ იქცა და ყველა მოწადინეს გზა ხსნილი ჰქონდა საკუთარი ინტერესების შესაბამისად ემოქმედა — გაეძარცვა, გაექურდა, აბუჩად აეგდო და შეურაცხყოფა მიეყენებინა. სოფლელობა დამამცირებელ და უკულტურობის მიმანიშნებელ ეპითეტად იქცა ქართველი კაცისთვის, ხოლო მიწაზე მუშაობა სამარცხვინოდ და ბინძურ საქმედ.

ქართული სოფელი — ქვეყნის ეკონომიკისა და ზნეობის დედაბოძი — უმწეო და ბეჩავ ხეიბრად ანდა გაპარტახებულ ნასოფლარად გადაიქცა. თავმომწონე, ქვეყნის

ნახული და გლეხს არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმიც არ დაუბრუნა. კიდევ მეტი, დაუგეგმა რამდენი უნდა მოეყვანა მოსავალი და რა უნდა მოეყვანა. ქართველი გლეხის საუკუნოვანი გამოცდილება არამც თუ საჭირო და გასათვალისწინებელი არამედ უმთავრეს ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენდა ამ მძარცველური სისტემისათვის და ყველა ღონისძიება იქნა მიღებული, რათა დავიწყებას მისცემოდა და გლეხის ფსიქოლოგიიდან ამოშლილიყო.

ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც დაკარგული აქვს ქართულ სოფელს და უმთავრეს პირობას წარმოადგენს მისი სამეურნეო თუ კულტურული ტრადიციების გაცოცხლებისათვის, სოფლის ტერიტორიული მთლიანობა და თვითმმართველობაა. ერთიცა და მეორეც კანონის საფუძველზე სოფელმა დამოუკიდებლად, საკუთარი ინიციატივით უნდა აღადგინოს, რაც თავდაპირველად იქნებ ახალი პრობლემების წარმოშობის საფუძველი გახდეს, მაგრამ რამდენადაც ეს შექმნის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას, ყოვლად წარმოუდგენელია საზოგადოება არასწორ არჩევანამდე მივიდეს. თუ გავითვალისწინებთ ქართველი კაცის ინტელექტს, მის გენეტიკურ თვისებებს, როგორც მიწათმოქმედისას და დღევანდელ ეკონომიკურ სიტუაციას, რომელიც მიწისაკენ უბიძგებს ყველას, ვისაც კი მისი დამუშავების სულ მცირე შესაძლებლობაც კი აქვს, შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესო არჩევანის გასაკეთებლად სოფელს დიდი დროც არ დასჭირდება. ხელისუფლებას კი ამ შემთხვევაში მხოლოდ ფხიზელი მეთვალყურის როლის შესრულება მოუწევს, რათა საჭიროების შემთხვევაში სწორი მიმართულება მისცეს მიმდინარე მოვლენებს და მაქსიმალური დახმარება გაუწიოს სოფელს, რათა ეს მოვლენები ბუნებრივად განვითარდეს.

სოფლის მიწა-წყლის ხელშეუხებლობის გარანტია, რასაც შესაძლებლობის ფარგლებში ტრადიციული საზღვრების დაკანონება წარმოშობს, არსებითად შეცვლის სოფლელის ფსიქიკას და წააქეზებს შემოქმედებითი საქმიანობისათვის, რაც დღევანდელი გლეხისათვის ნაკლებად ანდა სრულიად აღარაა დამახასიათებელი. ბიძგს მისცემს მესაკუთრე-მეურნე გლეხის თანდათანობით ჩამოყალიბებას, რომლის გარეშეც მიწის პრივატიზაციის საკითხის დაყენებაც კი ნაადრევი იქნება.

რამდენადაც არ არსებობს სხვა კრიტერიუმი, სოფლის ტერიტორიული პრობლემის ერთადერთი სამართლიანი გადაწყვეტის პირობად მისი ტრადიციული საზღვრების აღდგენა მიგვაჩნია. ეს კი თავის მხრივ მკვეთრად გაამწვავებს წლების მანძილზე ხელოვნურად შექმნილ დემოგრაფიულ პრობლემას, რაც იმაში გამოიხატება, რომ არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან სოფლები ჭარბი და შერეული მოსახლეობით, ხოლო ნასოფლარებსა და გაჩანაგებულ სოფლებში ბევრად უკეთესი პირობები იქნება მეურნეობის განვითარებისათვის. ეს განაპირობებს პირველ ხანებში შეიძლება მწვავე და კონფლიქტურ, მაგრამ რაც მთავარია ბუნებრივი მიგრაციის პროცესს, რომლის რეგულირებასა და განვითარების სასურველი ტემპების შენარჩუნებას ხელისუფლება ადვილად შეძლებს. შესაძლებელი გახდება ყოველგვარი ძალდატანებისა და პროპაგანდის გარეშე ბარში ჩამოსახლებული მთიელი თავის მამაპაპისეულ კერას დაუბრუნდეს და საქართველოს მთიანი მხარის ნორმალური ათვისება მოხდეს, ურომლისოდაც ჩვენი ქვეყნის მიწის სიმცირის პირობებში მის სამართლიან განაწილებაზე ფიქრიც ზედმეტია.

სოფლის ტრადიციული საზღვრების დადგენა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ყოველ ცალკეულ სოფელს საკუთარი და მისთვის მისაღები თვითმმართველობა ექნება. მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მიერ არჩეული მმართველობის ორგანო შეძლებს გაუძღვეს სოფელს და სრულად დაიცვას მისი ინტერესები, ამას მით უფრო უკეთესად გააკეთებს, რამდენადაც დაზღვეული იქნება ყოველგვარი გარეშე ჩარევისაგან. სოფლის დამოუკიდებლობა არსებითად შეცვლის მმართველობის დღევანდელ მოუქნელ სისტემას, რომელიც მცირედ თუ განსხვავდება ადრე არსებულისაგან. რამდენადაც სოფელი დამოუკიდებლად გაუძღვება საკუთარ მეურნეობას, იმდენად სახელმწიფოსაც ნაკლები ზრუნვა დასჭირდება მის სამართავად და დაჩქარდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნორმალურ, ფუნქციონალურ უწყებად ჩამოყალიბება. გამარტივდება და გაადვილდება პრეფექტურების ნორმალური ფუნქციონირებაც. იგი განთავისუფლდება რაიონის სასოფლო-სამეურნეო პრობლემების უდიდესი ნაწილისაგან, რომელთა გადაჭრა დღევანდელ პირობებში მის შესაძლებლობებს აღემატება. დამოუკიდებელი სოფელი ძლიერი იარაღი იქნება იმისათვის, რათა უმოკლეს დროში აღიკვეთოს დღეს არსებული ეგრეთწოდებული საზოგადოებრივი მეურნეობების თვითნებობა და იქ გამეფებული პარაზიტიზმი, უმკაცრეს კონტროლს გაუწევს მათ სამეურნეო საქმიანობას, ვიდრე ისინი იარსებებენ.

დიდი ხანია მწვავედ დგას საკარმიდამო მიწის ნაკვეთების გამოყოფისა და გაფართოების საკითხი, რომლის გადაწყვეტას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაზრდის თვალსაზრისით თვალსაჩინო შედეგები მოჰყვებოდა, მაგრამ გადაულახავ დაბრკოლებას ქმნის არსებული დემოგრაფიული სიტუაცია ჩვენს სოფლებში. ძნელად აღმოაჩენთ ორ სოფელს, სადაც ერთნაირი შესაძლებლობა იქნება ამისა. შეუძლებელია ყოველი სოფლისათვის მისაღები რაიმე განსაზღვრული ნორმის დაკანონება. ტრადიციულ საზღვრებში სოფლის მოქცევა კი მთავრობას გაათავისუფლებდა ასეთი ნორმის დაწესების აუცილებლობისაგან. ყოველი სოფელი თავისი რეალური შესაძლებლობიდან გამომდინარე დააწესებს მისთვის შესაფერის ნორმას, ხოლო უკმარისობის შემთხვევაში დაჩქარდება ბუნებრივი მიგრაციის პროცესი, რაც თავის მხრივ რთულ და ძნელად გადასაჭრელ პრობლემას წარმოადგენს.

ქართული სოფლისა და მისი სამეურნეო-კულტურული ტრადიციების აღორძინება თავისთავად გულისხმობს იმ ეკოლოგიურ პრობლემათა უდიდესი ნაწილის გადაწყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტას, რომლებიც დღეისათვის რესპუბლიკაში არსებობს და რომელთა წარმოშობაცა და ესოდენ უკიდურესობამდე გამწვავებაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, დღემდე მოქმედმა მეურნეობრიობის მახინჯმა სისტემამ განაპირობა, ქართველი მეურნისათვის სრულიად მიუღებელი — ბუნების გარდაქმნისა და გამოყენების დანაშაულებრივი თეორია რომ ედო საფუძვლად.

საყოველთაოდაა ცნობილი თუ რაოდენ სიფრთხილესა და წინდახედულებას იჩენდა ქართველი გლეხი გარემომცველ ბუნებასთან დამოკიდებულებაში. ქართული ტრადიციული მეურნეობა ფაქტობრივად უნარჩენო, ეკოლოგიურად გაწონასწორებული მეურნეობა იყო, რომელიც არამც თუ ზიანს აყენებდა, არამედ გარემოში მიმდინარე ბუნებრივი პროცესების ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა და აუცილებელიც კი იყო, რათა თვით ბუნების მიერ დამკვიდრებული ჰარმონია არ დარღვეულიყო. საუკუნეთა მანძილზე ქართველი გლეხის შეგნებაში ბუნებასთან დამოკიდებულების ფესვგადგმული პრინციპები, რომლებიც თითქოს სრულიად დავიწყებული და უგულებელყოფილია, მხოლოდ სამეურნეო ტრადიციების აღდგენასთან ერთად დაიწყებს აღორძინებას. თანამედროვე მსოფლიო მეცნიერების ეკოლოგიური გამოცდილებისა და ცოდნის მაქსიმალური გათვალისწინება კი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ამ პროცესის დაჩქარებისათვის. ჩვენი სოფლების ეკოლოგიური გაჯანსაღება, რასაც ისინი თითქმის დამოუკიდებლად, სახელმწიფოს მიერ სერიოზული ეკონომიური დახმარების გარეშე შეძლებენ, რესპუბლიკის ტერიტორიის უდიდესი ნაწილის ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროებისაგან ხსნას ნიშნავს, რის შემდეგაც გლობალური ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავება იმ სირთულეებთან აღარ იქნება დაკავშირებული, რაც დღეისათვის ამის გაკეთებას შეუძლებელს ხდის. ამას გარდა, სერიოზული მნიშვნელობა ექნება რესპუბლიკის ქალაქებში არსებული მეტად სავალალო ეკოლოგიური მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესებისთვისაც. ასობით ნასოფლარისა და გაჩანაგებული სოფლის აღდგენამ არ შეიძლება სერიოზული გავლენა არ მოახდინოს ქალაქების მოსახლეობისაგან განტვირთვის პროცესზე, ეს კი პირობას შექმნის, რათა სახელმწიფომ ახლანდელი არახელსაყრელი ეკონომიური ვითარების პირობებშიც შეძლოს ქალაქად ფართო მასშტაბის ეკოლოგიური პროგრამების განხორციელება, რაც მნიშვნელოვან სახსრებს და ტექნიკურ საშუალებებს საჭიროებს.

საბოლოოდ ალბათ უნდა ისიც ითქვას, რომ ერის ჯანსაღი პოტენცია მხოლოდ თავისუფლების შემთხვევაში შეიძლება გამოვლინდეს. დღევანდელ ქართულ სოფელს თავისუფალს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, რამდენადაც ეროვნული ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა და საზრუნავი ერის ორასწლიანი მონობისაგან განთავისუფლებაა, ამის განხორციელება კი ერთბაშად შეუძლებელია, უნდა დავიწყოთ იქიდან, სადაც ამის გაკეთება შეიძლება. ვფიქრობთ დღეისათვის ქართულ სოფელში არამც თუ შესაძლებელი, აუცილებელიცაა არსებითი ცვლილებები მოვახდინოთ ამ კუთხით, რითაც სერიოზული ნაბიჯი გადაიდგმება ერის სრული განთავისუფლების გზაზე.

**რამაზ იოსელიანი,**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი**

## გამოხმაურება

გაზეთ „თავისუფალი საქართველოს" (8 აგვისტო, № 29) პუბლიკაციის თაობაზე („ოღონდ იზეიმოს მართლმსაჯულებამ", ზ. დგებუაძე, ვ. დომუხოვსკი) რედაქციამ რამდენიმე გამოხმაურება მიიღო. არ გვაქვს საშუალება გამოვაქვეყნოთ ყველა წერილი. შემოკლებით ვბეჭდავთ რამდენიმე მათგანს — ჭიათურის განათლების განყოფილების თანამშრომელთა კოლექტიურ წერილს; პატიმრობაში ყოფნის დროს ბატონ მერაბ ჩუბინიძის მიერ გამოგზავნილ ბარათს; ქალბატონი ანა შეწირულის, ბ-ნი გ. ჩუბინიძის დის გამოხმაურებას. სრულად ვაქვეყნებთ ბატონი გ. ტურაშვილის პასუხს.

# „ოღონდ იზეიმოს მართლმსაჯულებამ"

### პასუხი ზ. დგებუაძისა და ვ. დომუხოვსკის პუბლიკაციაზე.

აღნიშნული პუბლიკაციის მთელ რიგ მონაკვეთებს ჩვენ არ შევეხებით, არც არავის დაცვას ვაპირებთ, გარდა იმ პიროვნებისა, რომელიც თავისი წარსულით და აწმყოთი სამაგალითოა ჩვენს ქალაქში, როგორც პიროვნება და როგორც ხელმძღვანელი.

პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ ქ. ჭიათურის განათლების განყოფილების გამგის ნ. წერეთლის, მასწავლებელ დ. ტეფნაძის, ექთან ქს. კავთელაძის და სხვა ადამიანების დიდი მონდომებით აზვირთდა საზიზღარი /ცილისმწამებლური ჭორი მ. ჩუბინიძის დანაშაულებათა შესახებ. ტეფნაძისა და კავთელაძის, როგორც პიროვნებების ამ საქმეში მონაწილეობის თაობაზე ჩვენთვის ცოტა რამაა ცნობილი, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ასეთი ბრალდება ნ. წერეთლის მიმართ სავსებით უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. ჩვენ მოწმენი ვართ იმ დაუოკებელი ემოციებისა, რომელმაც შეიპყრო ქალაქი იმ ამაზრზენი დანაშაულის გახმიანებამ. ხალხი მოითხოვდა დამნაშავის დასჯას და რადგან განაჩენი იგვიანებდა, ისინი თავიანთ ბოღმას იმ ადამიანებზე ანთხევდნენ, რომლებიც მ. ჩუბინიძეს უდანაშაულოდ მიიჩნევდნენ. ძიების დაწყებიდან თვეების მანძილზე ნ. წერეთელი, მ. ჩუბინიძეს გვერდით ედგა, მასთან ერთად დადიოდა პროკურატურაში, უფლებას არ აძლევდა თანამშრომლებს ამ საკითხზე უარყოფითი აზრი გამოეთქვათ, განათლების განყოფილებაში გამუდმებით ურეკავდნენ, ავიწროებდნენ, ლანძღავდნენ მას უშვერი სიტყვებით და განა შეეძლო მას, თანამდებობის პირს ჩუბინიძის დაპატიმრებისა და პროკურატურის მიერ მისი დამნაშავედ ცნობის შემდეგ კვლავ შემდგარიყო ტრიბუნაზე და მ. ჩუბინიძე დაეცვა? მითუმეტეს, როცა საქმე ეხებოდა მოსწავლეს, 12 წლის გოგონას. ჩვენ დარწმუნებული ვართ ამ შემთხვევაში თქვენ თვითონ გამოუტანდით მას სასჯელს და მის საქციელს ალბათ ამორალურს უწოდებდით, ამასაც არ აკმარებდით, პასუხს აგებინებდით ისევე, როგორც სიმართლის დამცველ მოწმეებს ხომერიკებს აგებინეს პასუხი.

გავყვეთ პუბლიკაციის მსვლელობას — როგორც ქ. ჭიათურის ყოფილი პროკურორის კ. კემულარიას წარდგინებიდან ირკვევა, პირადი მტრობა და შური ამოძრავებდა, ამასთანავე თვითონვე წარმოადგენდნენ უარყოფით პიროვნებებს (ქ. ჭიათურის პროკურატურის შემოწმებით მათ სამსახურებრივ საქმიანობაში მრავალი სერიოზული დარღვევა გამომჟღავნდა). საინტერესოა ვინ გითხრათ ბატონო დგებუაძე და დომუხოვსკი, რომ ნ. წერეთელი მ. ჩუბინიძის ბოღმით იხრჩობოდა, რა უნდა შეშურებოდა მას მ. ჩუბინიძის — თანამდებობა? არა, ის მისი უფროსი იყო, რეპეტიტორობა? — ნ. წერეთელი ფიზიკოსი არ გახლავთ, გერმანული ენის სპეციალისტია. ქონება? ის გაპირვებული არასოდეს ყოფილა. ავტორიტეტი? ქ. ჭიათურის ინტელიგენციაში მას გაცილებით დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ამ ქალაქის უძველესი მკვიდრია და მოსახლეობამ იცის საიდან მოდის იგი. ან ის ვინ მოგახსენათ, რომ ნ. წერეთელი უარყოფითი პიროვნებაა? სანამ ამ შეურაცხყოფილი ადამიანის უფლებათა უკიდურეს დონემდე შემბღალავ სიტყვებს დაწერდით თვითონვე უნდა შეეცადოთ გაერკვეთ, იმსახურებს თუ არა იგი ამას და უსამართლობით განაწამები. სიმართლის მაძიებელი ოთარაანთ ქვრივის ჯოხით ხელში მოსიარულე პიროვნებების ემოციებს როდი უნდა დაეყრდნოთ, ან ის ვინ გითხრათ, რომ კემულარიამ დარღვევები და თანაც სერიოზული აღმოაჩინა განათლების განყოფილების გამგის საქმიანობაში? ბატონი კემულარია თავის უკანონო წარდგინების გამოტანისათვის სიმართლის ძებნით როდი დაღლილა, მას ამისათვის განათლების განყოფილების კარებიც არ შემოუღია, იგი კაბინეტიდან წერდა განჩინებებს, ვითარცა მბრძანებელი ქალაქისა.

ჩვენი სურვილია ჩამობრძანდეთ ჩვენს ქალაქში და გაესაუბროთ „უარყოფით პიროვნებას" ნ. წერეთელს და იმ ადამიანებს, რომელთა გვერდითაც მან მთელი თავისი ცხოვრება გაატარა.

ბოდიშს მოვიხდით თქვენი ჟურნალისტური ეთიკის წინაშე და შეგახსენებთ, რომ ყოველი ბრალდება საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო ისე შეიძლება წაუყენო ადამიანს საჯაროდ, რომ არ შელახო ღირსება და უფლებანი, მითუმეტეს როგორც პუბლიკაციის მინაწერიდან შევიტყვეთ თქვენ ბრძანდებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის კონსულტანტი და ადამიანთა უფლებების დაცვის კომისიის წევრები.

**ჭიათურის განათლების განყოფილების თანამშრომლები:**
**1. მ. ქავთარაძე,**
**2. მ. ცუცქირიძე,**
**3. ა. ხარშილაძე,**
**4. მ. ჩაჩანიძე,**
**5. ზ. ლვალაძე,**
**სულ 25 ხელმოწერა**
**22 აგვისტო 1991 წ.**
**(ჭიათურის განათლების განყოფილების თანამშრომელთა წერილის სტილი დაცულია).**

●

„რა ჩვენი ბრალია, რომ არ მუშაობ, გემუშავნა ვინ დაგიშალა" — ასეთი სიტყვებით მიპასუხა ჩემგან იძულებითი განაცდურის მოთხოვნაზე რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ბატონმა რაზმაძემ. დიახ, ვმუშაობდი ფიზიკის მასწავლებლად. პედაგოგობა ჩემი მოწოდება იყო და აქა ჩემი წარმატებების შესახებ ხშირად იყო აღნიშნული რესპუბლიკურ თუ ადგილობრივ პრესაში. ყველაზე დიდი ჯილდო ჩემთვის ჩემი აღზრდილებისა და აღსაზრდელების სიყვარული იყო, რომელიც არ მემადლებოდა ჩემი საყვარელი ბავშვებისაგან. 1985 წლის მარტში კი ჩემი სკოლის მუშაობა განზოგადებული იქნა, როგორც საუკეთესო—რაიონის მასშტაბით. აღნიშნულის შემდეგ დიდხანს აღარ მიმუშავნია. იძულებული გამხადეს, რომ დამეტოვებინა ჩემი საყვარელი სკოლა, ჩემი საყვარელი ბავშვები, რომელთა გარეშე ერთი წუთიც არ შემეძლო, და რაც მთავარია, დამატოვებინეს ჩემი საყვარელი პროფესია. უკვე 6 წელია არ ვმუშაობ და საჩივრებითა და განცხადებებით დავდივარ ინსტანციიდან ინსტანციაში...

დიახ, ბატონო გენერალურო პროკურორო იძულებული გავხდით ისევ ჩვენ გვეზრუნა თქვენი უწმინდური მუშაკებისაგან გათელილი მასწავლებლის ავტორიტეტის აღდგენისათვის, სიმართლის დაცვისათვის. დიახ, 6 წელი მოვუნდით ნამდვილი დამნაშავის ივანე ფხალაძის დასჯას, რომელიც იმთავითვე იმხილებოდა ჩადენილ საზიზღარ დანაშაულში. მ. ჩუბინიძის ახლობლებისათვის და განსაკუთრებით დებისათვის ეს იყო 6 უძილო წელიწადი; ექვს წელიწადში არც ერთი დღე საჩივრის გარეშე, რისთვისაც დაიხარჯა უამრავი დრო, უამრავი ქაღალდი. დაიხარჯა ხელფასები, ჩატარდა მოსკოვში ორი ძვირად ღირებული ექსპერტიზა, რასაც, თუ არ ვცდებით, დასჭირდა ვალუტაც კი. გავნადგურდით მორალურად და ეკონომიკურად, რაც მთავარია, დაიკარგა რწმენა ადამიანებს შორის, მასწავლებელსა და მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს შორის. ჩვენ კი გავხდით ურწმუნო პედაგოგები.

რა საჭირო იყო ყოველივე ეს. ვის აძლევდა ხელს ამდენი ზარალი და ვის უნდა მოეთხოვის პასუხი უმკაცრესად, სწორედ იმ სისხლის სამართლის კოდექსით, რომელი კოდექსითაც უდანაშაულო მასწავლებელს მიუსაჯეს 20 წლიანი უკანონო განაჩენი. ისინი არა თუ სისხლის სამართლის კოდექსით არიან დასჯილები, არამედ აღნიშნულის შემდეგ კიდეც დაწინაურდნენ.

არ შეიძლება უარესი სადიზმი, ვიდრე მოსამართლემ და პროკურორმა ჩაიდინეს ჩვენს წინააღმდეგ იმ დროს, როცა სასამართლო პროცესისათვის განკუთვნილი ორი სასამართლო დარბაზიდან ორივე თავისუფალი იყო, უდანაშაულო მასწავლებლის მ. ჩუბინიძის გასამართლება მოაწყვეს ე. წ. მახარაშვილის კლუბში, რომელიც პირდაპირ უყურებს იმ სკოლას, სადაც მე და ჩემი და ვასწავლიდით. წარმოიდგინეთ ვატარებთ გაკვეთილებს ისტორია-სამართალმცოდნეობასა და ფიზიკაში, პარალელურად ვუყურებთ ჩვენს მოსწავლეებთან ერთად იმ დარბაზს, სადაც ჩვენს უდანაშაულო ძმას (მასწავლებელს) ასამართლებდნენ მცირეწლოვანი მოსწავლის გაუპატიურებისათვის. მეტიც, მ. ჩუბინიძეს სასამართლო პროცესზე მიყვანამდე და პროცესიდან წამოყვანის შემდეგაც შემოატარებდნენ ჩვენი სკოლის გარშემო „მხლებლებით", რომ რაც შეიძლება კარგად დაენახათ იგი ჩვენს მოსწავლეებს, ჩვენთან ერთად ყოველმხრივ განადგურებული, მაშინ როცა სხვა გზაც არსებობდა აღნიშნულ კლუბამდე მისასვლელი. აი როგორ გვტანჯეს 18 დღის განმავლობაში. ერთი წუთით არ გვაჩერებდნენ შენობის ახლოსაც კი მ. ჩუბინიძის ოთხ დედმამიშვილს, მის ცოლშვილს და მის ახლობლებს. სასტიკად გვდევნიდა მილიცია თავიანთი უფროსის დავალებით (ამჟამად იგი ხულოს რაიონის მილიციის უფროსია). ისინი გვაფრთხილებდნენ — საჩივრების წერას და ძმის დაცვას თავი დაანებეთ, თუ არა თქვენც ჩქარა დაგიჭერენ. 18 დღის შემდეგ, ჩვენთვის მოულოდნელად შეწყდა სასამართლო პროცესი, დაუკითხავი დატოვეს საქმეში გამოძახებული 32 მოწმე და გამოუტანეს უდანაშაულო მასწავლებელს 13 წლით პატიმრობა, 2 წლით გასახლება და 5 წლით პროფილით მუშაობის აკრძალვა. აქვე უდანაშაულო მ. ჩუბინიძეს წაავლეს 2 მართალი მოწმე. სასამართლო პროცესის შემდეგ კი ვიპოვე ჩემი ძმის ჯიბეში მისგან გამოგზავნილი წერილი, რომელმაც მოსვენება დამაკარგვინა. ამ უკანონობით გამწარებულებმა ველარ გავუძელით მოსწავლეების და მასწავლებლების უენაურ სახეებს, ჩვენი ძმის აუტანელ ტანჯვა-წამებას და იძულებული გავხდით დაგვეტოვებინა სკოლა, აღარ წავიდნენ სკოლაში ჩემი არასრულწლოვანი დისშვილებიც, რომლებმაც მწვავედ განიცადეს ის მორალური ტრავმა, რაც მოუშუშებელ ჭრილობად დააჩნდა მათ სულსა და პატარა გულს. განაჩენის მეორე დღესვე მოვაგროვეთ ოჯახის წევრების სკკპ წევრობის ცოდვიანი ბილეთები და პირადად ჩავიტანეთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში. გადავწყვიტეთ შეგვესრულებინა ჩვენი ტანჯული ძმის თხოვნა და არ გაჩერებულიყავით სკოლაში, რამეთუ ვიდრე არ ვუშველიდით პროკურატურის უწმინდური მუშაკებისაგან დაცემული და განადგურებული მასწავლებლის ავტორიტეტს, სხვანაირად როგორ შეგვეძლო, რა მორალური უფლება გვქონდა სკოლაში მოსწავლეებთან მორალი და ზნეობა გვექადაგა.

კიდევ გაუგებარია, ბატონო გენერალურო პროკურორო, ვინ დაგვიშალა სკოლაში მუშაობა? ან და რატომ დავდიოდით 6 წელი ინსტანციიდან ინსტანციაში უშედეგოდ? დღეს, როდესაც გადაცვეთეთ რკინის ქალამნები, ვუშველეთ უდანაშაულო მასწავლებელს, რომელიც გამართლდა. უკვე სამი წელია, დაისაჯა ნამდვილი დამნაშავე, რეციდივისტი ფხალაძე (მიუსაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა), უკვე სავსებით და მთლიანად დადასტურდა ჩვენი პროტესტის სამართლიანობა, აშკარად საბუთდება პროკურატურის დამნაშავე მუშაკები, რატომ არიან ისინი დაუსჯელები? ვინ გიშლით ხელს მათ დასჯაში ბატონო გენერალურო პროკურორო, კომუნისტური რეჟიმი თუ „მოგვალე მაფია"? აკი გამომძიებელი ქობულაძე ჩვენი პროტესტის შემდეგ ჩქარა დაჯილდოვდა წარჩინებული ჯილდოებით და გადმოიყვანეს იქნა მილიონიან ქალაქში უფრო საქმეთა გამომძიებლად? ნუთუ უკეთესი გამომძიებელი არ მოიძებნებოდა მილიონიან ქალაქში? და კიდევ, ქობულაძის მხოლოდ და მხოლოდ თანამდებობიდან განთავისუფლება არის საკმარისი ყოველივე ზემოთაღნიშნულის შემდეგ? ან კიდევ რა დანაშაული ჰქონდათ ისეთი გამომძიებელ ვითოშვილს და ტურაშვილს, რომ ქობულაძის მსგავსად ისინიც განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან? რა შეცდომა დაუშვეს იმაზე მეტი ამ ადამიანებმა, ვიდრე უდანაშაულო პატიმრის გამართლებამ. ნუთუ სამართლის დამცველები ეწირებიან სიმართლის დაცვას.

ჩვენ ჩვენი რკინის ქალამნებით, ვფიქრობთ, არა მარტო ჩვენი სიმართლე დავამტკიცეთ, არამედ სამართალდამცავ ორგანოებს დიდი დახმარებაც გავუწიეთ დამნაშავეების დადგენაში, და თუ სადმე სამართალია, დღეს მაინც, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების გარდა, მადლობის ღირსიც ვართ, არათუ ქუჩაში სიარულისა.

მე ვთხოვ საზოგადოების გამოგვეხმაუროს და ხმა აიმაღლოს პროკურატურის იმ ყაი მუშაკების მკაცრად დასჯისათვის, რომლებმაც 6 წლის მიზნით ლაფში ამოსვარეს მასწავლებლის ავტორიტეტი, ჩვენ კი, ერთ დროს მისაბაძ პედაგოგები ქუჩაში მიგვყარეს ადამიანებად გვაქციეს.

**ანა შეწირული**

●

უცნობო მეგობარო, ძალიან გთხოვთ ეს წერილი გაგზავნოთ შემდეგი მისამართით: ქ. ჭიათურა. თბილისის ქ. № 76

მარინა სამხარაძეს.

ნუ დაგეზარება ამ წერილის გაგზავნა. ეს იქნება ჩემი ოჯახისათვის ძვირფასი დოკუმენტი, რადგან ისინი ჩემს შესახებ ჟურნალისტი ნათლობენ, ცოცხალი დავრჩები თუ მკვდარი, იმასაც ვერ გაიგებენ.

ჩემო ოჯახო, ამ წერილს გიგზავნ უცნობ ადამიანს სასამართლოდან, გამოგიგზავნით ალბათ. ჩემი ბრალი არ არის არაფერი, ცოდვა მართალი კაცი ვარ. მე თუ გინდა მოვკვდე, მაგრამ თქვენ ნურასდროს შეგრცხვებათ ქუჩაში სიარული, ამაყად და გაბედულად იარეთ, არავისი არ მოგერიდოთ. სად არის

(დასასრული მე-4 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ოღონდ იზეიმოს მართლმსაჯულებამ"

(დასასრული)

ღმერთი და სამართალი, სად არის სიკეთე. მთელი ჩემი ცხოვრება ხომ სიკეთეს ვემსახურებოდი. სულ თქვენზე ვფიქრობ და არასდროს არ ამოვა ჩემი გონებიდან თქვენი საოცარი სახეები, თქვენი დატანჯული თვალები, მაგრამ სულით არ დაეცეთ. გწამდეთ, რომ მე ცამდე მართალი ვარ, რომ მოვკვდე, მკვდარი მაინც ვაჯობებ მაგ უსინდისო ხალხს. ვერ გავიგე, პროცესზე არ ისურვეთ შემოსვლა, თუ არ შემოგიშვეს. მე ვფიქრობ არ შემოგიშვეს, იმიტომ, რომ ამბავს ატეხდით ასეთ უსამართლობაზე. ეს მოსამართლე კაცი კი არა სიკვდილის მთესავი მახრჩობელა გველი-ყოფილა. რას ვიფიქრებდი თუ ასე დამთავრდებოდა სასამართლო.. მე უკვე თავისუფალი მეგონა ჩემი თავი. დაკითხეს 50-ზე მეტი კაცი და ერთი არ აღმოჩნდა ისეთი, რომ დალაპარაკებული მაინც დავენახე სადმე ამ ჭუჭყიან ბავშვთან. თქვენ წარმოიდგინეთ, რისთვის მსჯიან, მხოლოდ ბავშვის ცრუ ჩვენებების საფუძველზე. ეს არის სამართალი? ის, რასაც ნანა მოდებაძე ამბობს ზღაპარშიაც არ მოხდება. მოსამართლემ და პროკურორმა კი ეს ზღაპარი სინამდვილედ აქციეს. აღარ იწამოთ ამის შემდეგ არაფერი. აღარ იწამოთ ამის შემდეგ სიკეთე — და პატიოსნება. ცხოვრება საზიზღრობა ყოფილა, სჯიან მართალ, უდანაშაულო ადამიანებს მეოცე საუკუნეში. თუ ვინცობაა მოვკვდე, ნუ ჩამატანთ უპოვნელ სიმართლეს მიწაში. ყველას გაუსწორეთ ანგარიში, ყველას გადაუხადეთ სამაგიერო. მე სიცოცხლე აღარ მინდა და აღარც ღირს, მაგრამ არ მინდა მტერი გავახარო, არ მინდა სიმართლე დაიკარგოს. ამიტომ ვამაგრებ ჯერ-ჯერობით ჩემს თავს. როგორ უნდა დამამარცხონ ისე, რომ კვალი არ დავაჩინო ან ბოროტების ან სიკეთის, ისე როგორ უნდა გაქრე ადამიანი უკვალოდ. მაშ, რატომ გვასწავლიდნენ, ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია. ჩვენმა საუკუნემ უარყო ეს დებულება? თქვენ, რომ მოსამართლის ქცევა იცოდეთ, გასულელდებით, როგორ უწევდა შანტაჟს ჩვენს საწინააღმდეგოდ. რას ვუსმენდი და ვხედავდი ერთი თვე, ვის ხელშია ადამიანების ბედი. მოსამართლე, პროკურორი და მთელი შემადგენლობა იქცეოდნენ ფაშისტებივით.

დღე და ღამე წერეთ და იარეთ, დაპირებებით არ დაკმაყოფილდეთ, კაბინეტებს არ მოშორდეთ, თუ არა დრო გადის. შეიძლება სასწრაფოდ მიკრან თავი კოლონიაში და ვინ იცის იქ რას მომიწყობენ ეს კაციჭამიები: ქობულაძე, საყვარელიძე და ყიფიანი. ესენი სისხლისმსმელები არიან; გამომძიებელმა ქობულაძემ ბავშვი დაარიგა, რომ მერსი ციხიდან ცოცხალი ვერ გამოვა და რაც გინდა ილაპარაკეო. ჯერ ვარსებობ, მაგრამ როგორ წავა მერე ჩემი ბედი არ ვიცი. გააგებინეთ ყველას ჩვენი გაჭირვება. როგორ სძინავთ ამ ბოროტ ადამიანებს, რატომ არ ტკივათ გული, როგორ სდებენ თავს ბალიშზე. გამწარებული მხეცივით ვარ, მაგრამ რა შემიძლია უსამართლოდ დასჯილ პატიმარს. ვაი დედასა, როგორ ზეიმობენ ბოროტი ადამიანები, არსენასი არ იყოს! ეჰ, როგორი ადამიანები წაოგვაჩოქეს როგორმა „ხალხმა"? ნუთუ ყველაფერი დამთავრდა? ნუთუ ასე გაქრა ჩემი დაუღალავი, მუხლმოუხრელი შრომა? რამდენი მშიერსა და დაღლილს მიმუშავია, რომ არ მეღალატნა ადამიანებისათვის. სად არიან ჩემი ამხანაგები. სიცოცხლე კაპიკაც არ მიღირს, მაგრამ როგორ მინდა გავუსწორდე მაგ ნაძირალებს და დავუმტკიცო ჩემი ძალა და სიმართლე.

დედას უთხარით არაფერი არ აჯავროს, იმე[illegible] მუდამ, რომ მას სასახელო შვილი ჰყავს და ვერავინ ვერ მოსცხებს ჩირქს. ჩემი ცოდვით ვერავინ ვერ გაიხარებს ამ ქვეყანაზე. ჩემი უკანონო დასჯა სხვის კანონიერ დასჯას გამოიწვევს. ეს ბუნების შეუვალი და მარადიული კანონია. მე ჩემი მოსვლით არც არაფერი გამიკეთებია ამ ქვეყანაზე და არც ჩემი წასვლით არაფერი დაშავდება. სიცოცხლე კვლავ გაგრძელდება დედამიწაზე. სიმართლე კი თავისთავად არ დაიკარგება, მე დამახრჩონ თუნდაც, მაგრამ სიმართლეს ვერ დაახრჩობენ. ამ ქვეყანაზე გენიოსები კვდებიან და მე ვინ ვარ. კედლები მაინც რატომ არ დაინგრა ამდენი უსამართლობის შემყურე. ჯუნგლებში არ მოხდება ის, რაც ჩვენთან ხდება. ვინ იცის, რამდენი უდანაშაულო ადამიანი ლაფავს ჩემსავით სულს ციხეებში.

წერეთ ძალიან ბევრი, რკინის ქალამნები ჩაიცვით ოთარაანთ ქვრივისავით, წერეთ სიმართლე, წერეთ უსასრულოდ. სხვა თუ არავინ, თქვენ მაინც იზრუნეთ მასწავლებლის ავტორიტეტისათვის. რატომ უნდა გაილანძღოს ჩემით მასწავლებლის ავტორიტეტი. ეს სიკვდილზე უფრო მძიმეა ჩემთვის, მაგრამ ვის უნდა სიმართლე? არავის.

ჩემი მანანა მომენატრა. იმასთან თამაში ქვეყანას მირჩევნია. მოსიყვარულებაც ვერ მოვასწარი. სულ წიგნი, ამოცანა, მოსწავლე, რისთვის ვშრომობდი: დღეს კი ველარც მიცნობს. აბა თქვენ იცით. მჯერა სიმართლეს არ დაკარგავთ და კიდეც რომ მოვკვდე, მკვდარსაც გამამართლებთ. მანანა რომ გაიზრდება და მომიკითხავს, უთხარით, რომ უწმინდურმა ადამიანებმა გაანადგურეს-თქო, რომ ის კარგი მამის შვილია. არასდროს იუხერხულოს, რომ მე მისი მამა ვიყავი.

იყავით კარგად.

მერსი ჩუბინიძე.
17 იანვარი. 1986 წელი.

## „თავისუფალი საქართველოს" რედაქტორს

**თქვენი** გაზეთის 1991 წლის 9 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ბატონ ვიქტორ დომუხოვსკისა და უზენაესი საბჭოს იურიდიული კომისიის კონსულტანტის ბატონ ზურაბ დგებუაძის ერთობლივი წერილი „ოღონდ იზეიმოს მართმსაჯულებამ". ანათემა გამოცხადებული კაცის გამოსარჩლებისათვის პატივცემულ ავტორებს და გაზეთის რედაქციას ულრმეს მადლობას მოვახსენებ, მაგრამ იმისათვის, რომ სამართლიანობამ ბოლომდე იზეიმოს და მ. ჩუბინიძის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისას ჩემს სასარგებლოდ სხვათა ღვაწლი არ მიიჩქმალოს, თქვენივე გაზეთის მეშვეობით მსურს გავაკეთო შემდეგი განმარტება:

მ. ჩუბინიძის მიმართ უკანონოდ დადგენილი განაჩენის გასაუქმებლად პროტესტი თქვენს მონა-მორჩილ გ. ტურაშვილს არ შეუტანია და პროცესუალურად მას არც ჰქონდა ამის უფლება. მე აღნიშნული საქმე განსაკუთრებული ვითარებისა გამო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის ბატონ აკაკი კარანაძის დავალებით შევისწავლე 4 დღეში და პირადად მას მოვახსენე, რომ ჩუბინიძე უკანონოდ და დაუსაბუთებლად იყო დასჯილი. ანალოგიური პოზიცია დავიკავე საქართველოს კპ პარტიული კონტროლის კომისიაში რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მაღალი თანამდებობის პირთა საწინააღმდეგოდ, რაშიც აწ გარდაცვლილმა ბატონმა შალვა ყარყარაშვილმაც დამიჭირა მხარი და საბოლოოდ გადაწყდა, რომ მ. ჩუბინიძის საქმეზე პროტესტის პროექტს შევადგენდი მე და არა რესპუბლიკის პროკურატურის წარმომადგენელი, მათი დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად. მართლაც, ჩემს მიერ უმოკლეს ვადაში შედგენილი პროტესტის პროექტს, როგორც უფლებამოსილმა პირმა, ბატონმა აკაკი კარანაძემ მოაწერა ხელი და უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმშიც მის მიერვე იქნა შეტანილი.

ამასთან ერთად მინდა შევნიშნო, რომ მე მხოლოდ მ. ჩუბინიძის საქმისა გამო არ ვყოფილვარ უსამართლოდ დასჯილი და, ალბათ, უმაღლესი სასამართლოს მაშინდელი ხელმძღვანელობის პრინციპული პოზიცია და ობიექტურობა რომ არა, „პლებური" წარმოშობის „სოფლელ აგრიკოლას" ოდესმე არც კი დამესიზმრებოდა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრობა და, სულ ცოტა, ადრევე ვიქნებოდი გაძევებული სამსახურიდან ბააკაშვილის, წიწუაშვილისა და ნადირაძის, გიორგაძის, ჭეიშვილის, ბიგანიშვილის, გელაშვილის, კალანდაძის, გაბუნიას, ყველაშვილის, ხუროშვილის, ორაგველიძის, თოდრაძის, დუმბაძისა და ცეცხლაძის, რაზმაძის, კიკორიას, ლაგაზაშვილის, გუგულაშვილის, ნონიკაშვილის, მიხელაძის, ბებიაშვილის, ჩხარტიშვილისა და თოლორდავას, კალანდიას, ძაძამიას, გალდავას, ხაჟომიასა და ჩიქოვანის, ასანაშვილის, ჯანიაშვილისა და სხვათა და სხვათა ბრალდებისა საქმეთა გამო.

დაბოლოს პატივცემულ წერილის ავტორთან, მ. ჩუბინიძისა და ზემოთმითითებულ პირთა თუ მათი ახლობლების, ჩემს გამო აფორიაქებული სინდისის დასამშვიდებლად მინდა მოვიყვანო ცნობილი რომაელი იურისტისა და ორატორის მარკუს ტულიუს ციცერონის სიტყვები: „ასეთ გასაჭირსა და მწუხარებაში თქვენი კეთილგანწყობილება ჩემთვის შვება და სიხარულია. მაგრამ უკვდავ ღმერთებს გეფიცებით, მოეშვით ჩემს კეთილდღეობაზე ფიქრს და თქვენს თავსა და თქვენს შვილებს მიხედეთ. თუ ჩემმა კონსულობამ მარგუნა ასეთი ხვედრი, დავითმინო ყველა სიმწარე, ტკივილი და წამება, ავიტან არა მარტო უდრტვინველად, არამედ ხალისითაც, თუ ჩემი განსაცდელით თქვენცა და რომაელ ხალხს კეთილდღეობას მოგანიჭებთ". მე კი „ხშირად ფიქრებით ვეწვევი სახლს, გაწამებულ მეუღლეს, შიშით გადაფითრებულ ქალიშვილს, მცირეწლოვან ვაჟიშვილს,... ყოველივე ეს მაღელვებს, მაგრამ ნაწილობრივ, ოღონდაც თქვენ ყველანი გადარჩეთ, ოღონდ რესპუბლიკა არ დაიღუპოს და მასთან ერთად ჩვენ ყველანი, მე რა უბედურებაც არ უნდა შემემთხვეს, არაფერია. ამიტომ, ბატონო სენატორნო, იჩქარეთ რესპუბლიკის საშველად, გაითვალისწინეთ ყველა ქარიშხალი, რომელიც თავს დაგატყდებათ, თუ წინასწარ არ მიიღებთ ზომებს მის ასაცილებლად".

ულრმესი პატივისცემით
გ. ტურაშვილი

# ქალაქის მმართველობას ვთხოვთ გასცეს პასუხი 1200 თბილისელ ოჯახს

**რედაქციაში** რამდენიმე წერილი შემოვიდა, რომელიც ეხებოდა ვაკეში მდებარე ყოფილი სტუდქალაქის ტერიტორიის განაშენიანებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. წერილებს ყიფშიძისა და მის მიმდებარე ქუჩებზე მცხოვრები ათასორასი (1200) ოჯახის სახელით ხელს აწერს ქ-ნი ნინელი კიკნაველიძე (მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი).

ქალქის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უბანში თავისუფლდება საკმაოდ დიდი ტერიტორია. საკითხი ასე დგას— როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ეს ტერიტორია, რა უნდა აშენდეს, რომელ კონცეპტუალურ გადაწყვეტას მიენიჭოს პრიორიტეტი.

როგორც ქ-ნ ნინელი კიკნაველიძის წერილებიდან ჩანს, ვაკის მოსახლეობის სურვილია, რომ აქ აშენდეს ეკლესია საეკლესიო სკოლითურთ (შემოწირულობებსა და ხარჯების ნაწილს მოსახლეობა იღებს თავის თავზე). თხოვნით ეკლესიის აშენების თაობაზე მოსახლეობას არა ერთხელ მიუმართავს ქალქის ოფიციალური მმართველობისათვის, მაგრამ როგორც ჩანს, დამაკმაყოფილებელი პასუხი არც ერთხელ არ მიულია.

გარკვეულ პრეტენზიას იგივე ტერიტორიაზე აცხადებს ახალგაზრდა მეცნიერთა ცენტრი, იმის საფუძველზე, რომ „ტრადიციულად ეს ტერიტორია ახალგაზრდობას ეკუთვნის და ახლი ობიექტიც მათთვის უნდა შეიქმნას" (იხ. „ახალგაზრდა ივერიელი", 1990 წლის 1 დეკემბერი, პუბლიკაცია „ახალგაზრდული ცენტრი თუ კოოპერატიული ბინა"). ახალგაზრდა მეცნიერთა ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტის აზრით, აქ უნდა აშენდეს სამეცნიერო, სპორტული და გასართობი კომპლექსური ცენტრი, სადაც შესაძლებლობა იქნება ჩატარდეს კონფერენციები, მოეწყოს საერთაშორისო სკოლები, შეიქმნას კომპიუტერული კლასები, უცხო ენების შემსწავლელი კურსები და სხვა. მოკლედ რომ ვთქვათ, ახალგაზრდა მეცნიერებს სურვილი აქვთ შექმნან საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრი სპორტული მოედნებითა და საკონცერტო თუ კინოდარბაზებით. გართობაზე ვერაფერს მოგახსენებთ და ახალგაზრდობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცხოვრების ორგანიზებას მთელ მსოფლიოში უნივერსიტეტები იღებენ თავის თავზე (კემბრიჯისა და სორბონის გამოცდილების გათვალისწინებით არც თუ წარუმატებლად), ამიტომ რედაქციას ცოტა არ იყოს, ხელოვნურ-კომკავშირულ-პათეტიკურ მისწრაფებად მიაჩნია ახალგაზრდა მეცნიერთა ლტოლვა—სამეცნიერო მოღვაწეობა უზარმაზარი ცენტრის მშენებლობით დაიწყონ.

არსებობს კიდევ ერთი სერიოზული პრეტენდენტი ყოფილი სტუდქალაქის ტერიტორიის მფლობელობაზე, ეს გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც აქ თანამშრომლებისათვის საცხოვრებელი კორპუსების ე. წ. კოოპერატიული ბინების აშენებას გეგმავს.

როგორც მკითხველი თავად მიხვდება, თანამდებობის ზოგიერთ პირთათვის გამორჩენის ყველაზე დიდ საშუალებას სწორედ ეს ვარიანტი იძლევა, ამიტომ ბუნებრივად ჩნდება ეჭვები, როცა ქალქის მმართველობა პრიორიტეტს სწორედ ამ მშენებლობას ანიჭებს. ეს მითქმა-მოთქმასაც ამძაფრებს და მოსახლეობის უკმაყოფილობასაც ზრდის.

ამიტომ ფსიქოლოგიურად გასაგებია, რომ ის 1200 ოჯახი, რომელიც აქ ეკლესიის აშენებას ითხოვდა, დაუფარავი აღშფოთებით შეხვდა გაზეთ „თბილისის" 6 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ ქალქის მთავრი არქიტექტორი აცხადებს ბლიც-კონკურსს ვაკის სტუდქალაქისა და მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების პროექტის შედგენაზე, რომელშიც პირველი რიგის ობიექტად მითითებულია მაღალი დონის საცხოვრებელი სახლი 176 ოჯახისათვის. აუცილებელ პირობაში და წარმოდგენილ გეგმაში ეკლესიის მშენებლობა ყურადღებული არ არის.

რედაქციას ესმის, რომ ქალქის მთავარი არქიტექტორი ვალდებული არ არის თბილისში ცალ-ცალკე ყველა ოჯახს შეუთანხმოს ქალქის არქიტექტურული კეთილმოწყობის ყველა პრობლემა. ასევე მიგვაჩნია, რომ სწორედ იმიტომ არსებობს ქალქის მთავრი არქიტექტორის თანამდებობა, რომ ოჯახის დიასახლისებს ჩამოვაშოროთ ტვირთი გადაწყვიტონ სად რა დანიშნულების და როგორი ტიპის ობიექტი უნდა აშენდეს. ამიტომ ჩვენი წერილი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს პრეტენზიად გადავჭრათ ქალაქის გეგმარების პრობლემები. ჩვენ უბრალოდ ქალქის მმართველობის წინაშე ვშუამდგომლობთ 1200 თბილისურ ოჯახს მიიღონ პროფესიული, დასაბუთებული პასუხი მათთვის მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით, რისი მოთხოვნის უფლებაც მათ უდავოდ აქვთ.

ვთხოვთ ქალქის მერს ბატონ ირაკლი ანდრიაძეს და თბილისის მთავარ არქიტექტორს ბატონ ირაკლი მასხარაშვილს გამოეხმაურონ ჩვენს პუბლიკაციას, თუნდაც იმიტომ, რომ რეალურად ამ პრობლემით თითქმის ყველა თბილისელია დაინტერესებული და მისი სიმწვავე სცილდება მხოლოდ 1200 ოჯახის საწუხარს.

თამარ ებრალიძე

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომისთვის განკუთვნილი სიტყვა

**ბატონო პრეზიდენტო!** პატივცემულო დეპუტატებო, ქალბატონებო და ბატონებო!

ყველასთვის ცნობილია, რომ 1990 წლის ოქტომბრამდე კომუნისტური პარტიის მანტიის ქვეშ თავშეფარებული იყო მაფია და პარტიის საქმიანობას ცენტრის ინსტრუქციებთან ერთად ძირითადად, არსებითად(!) წარმართავდა. არჩევნების შემდეგ (ნაწილობრივ არჩევნებამდეც) მაფიამ „პერანგი" გამოიცვალა და ეროვნული დროშის ფერებში გაეხვია („ძველივე რჩება ძველად"). ზოგიერთმა ხელისუფალმა, დაივიწყა რა, რომ **სამართლებრივი საქმე უზნეო გზით არასოდეს კეთდება**, ხელი შეუწყო ძველ მაფიოზთა ანუ „საქმის ხალხის" ახალ ხელისუფლებაში დამკვიდრებას (მწარე შედეგებს მალე მოვიმკით!)... კომპარტია ძირითადად დარჩა გონებაშეზღუდული მესკამურების ანაბარა და შედეგიც მალე ვიხილეთ იმ პრიმიტიული ხედვით დაწერილი განცხადების სახით, რომელიც გაზეთ „ცხოვრებაში" დაიბეჭდა.

დღეს სავსებით სამართლიანად შეიზღუდა ბნელეთის მემკვიდრეთა პარპაშის შანსი კომპარტიის ფუნქციონირების აკრძალვით, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი პარლამენტის, საერთოდ პატიოსანი ეროვნული მოღვაწის, მთავარი და პირდაპირი დარტყმის ობიექტი გვერდზე დარჩა — კომპარტიის უსულოდ დარჩენილი სტრუქტურები, თავისთავად მავნე, იმდენად საშიში არ არის, რამდენადაც უკვე ჩვენს რიგებში საფუძვლიანად ფეხმოკიდებული საქმოსნების, კორუმპირებული პირების მძლავრი ალიანსი; ზოგი ყოფილი ჩვენი თანამებრძოლის დახმარებით იგი ცდილობს თანმიმდევრულად მიწასთან გაასწოროს ეროვნული მოძრაობიდან მოსული გულმართალი ქართველი და ხელოვნური ვაკუუმი შექმნას პრეზიდენტის გარშემო (იქმნება საშიშროება ხელოვნურად გამრუდდეს პრეზიდენტის კურსი).

კომპარტიის გაუქმებით ჩვენ მხოლოდ ძველი, ხმარებიდან გამოსული სამოსელი („პერანგი") დავუწვით ორგანიზებული დანაშაულის სამყაროს, რომელსაც ხალხი მაფიოზურს ეძახის და რომელმაც ასე სწრაფად შეაღწია ახალ მთავრობაში თუ ხელისუფლებაში, შესაბამისად — ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში; შედეგად ხალხის ცხოვრება უფრო და უფრო უმძიმდება, შესაბამისად ხალხის ნდობას ვკარგავთ.

ბატონებო! კომპარტიის გაუქმება უკვე უმნიშვნელო დეტალია, შეუპოვარი ბრძოლა გვაქვს გადასატანი მაფიასთან, ანტიდემოკრატიულ ძალებთან, რომელსაც საქართველო დასაღუპად გაუმეტებიათ.

ყველა პატიოსანი და უდრეკი ადამიანის ერთიანი ძალისხმევით, იმედია საბოლოოდ მაინც სამართალი გაიმარჯვებს — ეს გარდუვალი კანონზომიერებაა! გაიმარჯვებს პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრის პროგრამა.

ტარიელ ფუტკარაძე,
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი.

რედაქტორი მარიკა აბაიშვილი
სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14. ტელეფონი 93-81-57.
იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა № 29
ინდექსი 66421